

თემატური პუბლიკაცია

თემატური პუბლიკაცია

თემატური პუბლიკაცია

თემატური პუბლიკაცია

თემატური პუბლიკაცია

თემატური პუბლიკაცია

თემატური პუბლიკაცია

თემატური პუბლიკაცია

თემატური პუბლიკაცია
დეპოზიტების დაზღვევის სისტემა
მოკლე მიმოხილვა

თემატური პუბლიკაცია

თემატური პუბლიკაცია

თემატური პუბლიკაცია

თემატური პუბლიკაცია

თემატური პუბლიკაცია

თემატური პუბლიკაცია

თემატური პუბლიკაცია

თემატური პუბლიკაცია

თემატური პუბლიკაცია

თემატური პუბლიკაცია

თემატური პუბლიკაცია

თემატური პუბლიკაცია

საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი

2017 წელი

თემატური პუბლიკაცია

თემატური პუბლიკაცია

თემატური პუბლიკაცია

თემატური პუბლიკაცია

დეპოზიტების დაზღვევის სისტემა

მოკლე მიმოხილვა

საერთაშორისო პრაქტიკით, დეპოზიტების დაზღვევის სისტემა ფინანსური სტაბილურობის ხელშეწყობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტად განიხილება. ქვემოთწარმოდგენილი თემატური პუბლიკაცია მიზნად ისახავს საქართველოს პარლამენტში წარდგენილი საქართველოს კანონის პროექტით „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ და მისი თანმდევი კანონების პროექტებით (N07-2/52; 02.03.2017) ინიცირებული დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ მოკლე მიმოხილვისა და პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის შეფასებების წარმოდგენას.

დეპოზიტების დაზღვევის სისტემა გულისხმობს ფიზიკური პირი დეპოზიტარების გარკვეული ნაწილის მიერ ბანკებში დაბანდებული სახსრების ანაზღაურებას კანონით განსაზღვრული სადაზღვევო შემთხვევის დადგომის დროს. წარმოდგენილი ინიციატივის მიხედვით, დაზღვევას ექვემდებარება 5000 ლარამდე როგორც ეროვნულ, ისე უცხოურ ვალუტაში დენომინირებული დეპოზიტები. აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი პროექტის მიხედვით დაზღვეული იქნება დეპოზიტები, რომელთა მოცულობა არ აღემატება 5000 ლარს, და უფრო დიდი მოცულობის დეპოზიტების შემთხვევაში - 5000 ლარის ოდენობის სახსრები.

რაც შეეხება სისტემის დაფინანსებას, პროექტის მიხედვით იქმნება დამოუკიდებელი (არასაბიუჯეტო) ინსტიტუტი - სსიპ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო, რომელიც განკარგავს სადაზღვევო ფონდს (სადაც აკუმულირებული თანხების საშუალებით სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემთხვევაში ანაზღაურდება დეპოზიტარების სახსრები). პროექტის მიხედვით, ფონდის შევსების უმთავრესი წყარო კომერციული ბანკების შენატანებია, რომელთაგან გამოიყოფა რამდენიმე სახის შენატანები: პირველადი შენატანი (100 ათასი ლარის ოდენობით); რეგულარული შენატანი, რომელიც განისაზღვრება ფონდის მიერ დასაზღვევი დეპოზიტების მოცულობასთან მიმართებაში %-ულად; სპეციალური სადაზღვევო შენატანები; სააგენტოს საინვესტიციო საქმიანობით მიღებული შემოსავალი; სადაზღვევო შემთხვევის მქონე კომერციული ბანკების აქტივებიდან მიღებული თანხები; საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ნებადართული სხვა შემოსავლები. ინიციატივის მიხედვით, ყოველთვიური შენატანი არ უნდა იყოს დასაზღვევი ლარის დეპოზიტების მოცულობის 0.067%-ს და უცხოური ვალუტის დეპოზიტების 0.1%-ს. ფონდს შეუძლია მართოს მის ხელთ არსებული ფულადი საშუალებები და სარგებლის გამომუშავების შემთხვევაში გაზარდოს ფონდის სიდიდე. ამავდროულად, პროექტით განსაზღვრულია, რომ „ფონდში აკუმულირებულმა თანხებმა უნდა მიაღწიონ ფონდის მიზნობრივ ოდენობას, რომელიც შეადგენს დაზღვეული დეპოზიტების მთლიანი მოცულობის 6%-ს“, ხოლო გარდამავალ დებულებებში მითითებულია, რომ „2022 წლამდე ფონდში აკუმულირებული თანხები შეიძლება იყოს მიზნობრივ ოდენობაზე ნაკლები“.

დეპოზიტების დაზღვევის სისტემის მთავარი მიზანია ფინანსური სტაბილურობის ხელშეწყობა დეპოზიტარების ნდობისა და მათი დანაზოგის დაცულობის უზრუნველყოფით. აღნიშნული სისტემის დანერგვა ასევე გათვალისწინებულია ასოცირების ხელშეკრულებით (EU დირექტივა 2014/49/EU *დეპოზიტების დაზღვევის სქემის* შესახებ¹). ზემოაღნიშნული მიზნიდან გამომდინარე გამოიყოფა რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელიც სისტემის ეფექტიანობისათვის გადამწყვეტ როლს ასრულებს:

¹ Directive of the European Parliament and of the Council 2014/49/EU On Deposit Guarantee Schemes

- როგორია დეპოზიტის ოპტიმალური თანხობრივი ზღვარი დეპოზიტების დაზღვევის სისტემისათვის?

მიუხედავად იმისა, რომ ამ კითხვაზე პასუხი დამოკიდებულია კონკრეტული ეკონომიკის თავისებურებებსა და სადაზღვევო სისტემის ძირითადი მიზნებზე, საერთაშორისო სამეცნიერო წრეებში არსებობს გარკვეული მოსაზრებები. კერძოდ, სხვადასხვა მიდგომის მიხედვით, თანხობრივი ზღვარი შესაძლებელია მიზნული იყოს ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს მაჩვენებელზე (მასზე ორჯერ მეტი), ან უკავშირდებოდეს ქვეყანაში შემოსავლის დონის სხვადასხვა საშუალო მაჩვენებელს. ამავდროულად, დირექტივა ევროკავშირის წევრი ქვეყნებისათვის აღნიშნულ მინიმალურ ზღვრად მიუთითებს 100 000 ევროს² (ამასთან, განსაზღვრავს დეპოზიტების გარკვეულ სახეებს, რომლებიც დაექვემდებარება დაზღვევას გარკვეული ვადით და რომელზეზეც არ გავრცელდება 100 000 ევროს ლიმიტი³). წარმოდგენილი კანონპროექტის მიხედვით, როგორც უკვე აღინიშნა, დეპოზიტის ზღვრად მითითებულია 5000 ლარი. თუ გამოვიყენებთ მშპ-ს მიდგომას, ეს ზღვარი შეადგენს დაახლოებით 20 000 ლარს⁴, ხოლო თუ გამოვიყენებთ მოსახლეობის საშუალო წლიურ შემოსავალს, იგი დაახლოებით 15 000 ლარს გაუტოლდება.⁵

დეპოზიტის ოპტიმალური ზღვრის დადგენისას ამოსავალი დეპოზიტართა(სისტემაში ჩართულ დეპოზიტართა წილი მთლიან დეპოზიტარებში) და დეპოზიტების თანხობრივი მოცულობის დაფარვის (სისტემით დაფარული დეპოზიტების თანხობრივი მოცულობის წილი ფიზიკური პირების დეპოზიტების ჯამურ მოცულობაში) მაჩვენებლებია. საერთაშორისო სავალუტო ფონდის კვლევის მიხედვით, უკეთეს პრაქტიკად მიიჩნევა, როდესაც სისტემა ფარავს მთლიანი დეპოზიტარების 80%-ს და დეპოზიტების ჯამური მოცულობის 20%-ს. ცხადია, ეს პროპორცია შეიძლება განსხვავდებოდეს საბანკო სისტემის სტრუქტურიდან და თავისებურებებიდან გამომდინარე.

როგორც უკანასკნელი თვეების განმავლობაში განთავსებული დეპოზიტების (ნაკადები) სტრუქტურა გვიჩვენებს, 5000 ლარზე ნაკლები ოდენობის დეპოზიტების განმათავსებელი დეპოზიტარები შეადგენს ამავე პერიოდში ახალი დეპოზიტარების 92-93%-ს, თუმცა თანხობრივად აღნიშნული დეპოზიტები მთლიანი ახლად განთავსებული დეპოზიტების 1.5-2%-ს უტოლდება.


² Directive of the European Parliament and of the Council 2014/49/EU on Deposit Guarantee Schemes. Article 6. „Member States shall ensure that the coverage level for the aggregate deposits of each depositor is EUR 100 000 in the event of deposits being unavailable“.

³ Directive of the European Parliament and of the Council 2014/49/EU on Deposit Guarantee Schemes. Article 6. “Member States shall ensure that the following deposits are protected above EUR 100 000 for at least three months and no longer than 12 months after the amount has been credited or from the moment when such deposits become legally transferable:

(a) deposits resulting from real estate transactions relating to private residential properties;
 (b) deposits that serve social purposes laid down in national law and are linked to particular life events of a depositor such as marriage, divorce, retirement, dismissal, redundancy, invalidity or death;
 (c) deposits that serve purposes laid down in national law and are based on the payment of insurance benefits or compensation for criminal injuries or wrongful conviction”.

⁴ საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით 2018 წელს მშპ ერთ სულ მოსახლეზე შეადგენს 10 336 ლარს.

⁵ სტატისტიკის სამსახურის ინფორმაციით, 2015 წელს საშუალო თვიური შემოსავალი იყო 1 040 ლარი, 2018 წლის წლიური შემოსავლის მისაღებად გამოყენებულია საბიუჯეტო ოფისის ნომინალური მშპ-ს ზრდის ტემპი.



დიაგრამა 1. დეპოზიტების განთავსების თვიური მაჩვენებლები. წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

რაც შეეხება ნაშთებს 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 5000 ლარზე ნაკლები ოდენობის დეპოზიტის მფლობელი დეპოზიტარები შეადგენს ამავე პერიოდის მდგომარეობით ფიზიკური პირი დეპოზიტარების 97%-ს, თუმცა თანხობრივად დაფარული დეპოზიტების ჯამური თანხობრივი მოცულობა ფიზიკური პირების მთლიანი დეპოზიტების ოდენობის 15%-ს უტოლდება. აღნიშნული პროპორცია დეპოზიტის სხვადასხვა ზღვრის შემთხვევაში წარმოდგენილია ცხრილში 1. მაგ. 10 000 ლარის ლიმიტის შემთხვევაში 10000 ლარზე ნაკლები დეპოზიტის მფლობელი დეპოზიტარების რაოდენობა მხოლოდ უმნიშვნელოდ 1.27 %-ული პუნქტით იზრდება, თუმცა თანხობრივად დაფარვის მაჩვენებელი დეპოზიტების მოცულობის 21.6%-ს შეადგენს. აქვე გასათვალისწინებელია, რომ ლიმიტის ზრდა უმნიშვნელოდ ზრდის დეპოზიტარების დაფარვას, თუმცა თანხობრივად მნიშვნელოვანი ეფექტი აქვს და ზრდის საბანკო სექტორისათვის ყოველთვიურ შენატანებს.

	5000 ლარზე ნაკლები დეპოზიტის მფლობელი დეპოზიტარების რაოდენობა/ფიზიკური პირი დეპოზიტარები	დაზღვეული თანხა*/ფიზიკური პირის დეპოზიტების თანხობრივი მოცულობა	5000 ლარზე ნაკლები დეპოზიტების თანხობრივი მოცულობა/ დაზღვეული თანხა*
5 000-მდე	96.51%	15.25%	48.09%
10 000-მდე	97.68%	21.60%	67.72%
20 000-მდე	98.60%	23.30%	84.17%
100 000-მდე	99.70%	39.38%	98.26%

ცხრილი 1. დაფარვის მაჩვენებლები. წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

*დაზღვეული თანხა მოიცავს როგორც სრულად 5000 ლარამდე დეპოზიტებს, ისე მსხვილი დეპოზიტებიდან 5000 ლარის ოდენობის თანხას.

ზემოაღნიშნული ანალიზის საფუძველზე კანონპროექტით წარმოდგენილი ლიმიტი შესაძლებელია მიუთითებდეს შემდეგზე:

- სისტემაში ჩართული დეპოზიტარების(რომელთა დეპოზიტი სრულად იქნება დაზღვეული) დიდი წილი ნიშნავს, რომ მეტი ადამიანი იქნება დაცული რეფორმის შემდეგ და მცირე ფინანსური რყევების შემთხვევაში მასობრივი პანიკის არსებობის საფრთხე არსებითად შემცირდება.

- თანხობრივად დაზღვეული დეპოზიტების წილის სიმცირე მთლიანი დეპოზიტების მოცულობაში ნიშნავს, რომ ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფისათვის შესაძლოა დეპოზიტების დაზღვევის სისტემა არ იყოს ერთადერთი საშუალება. თუმცა აქვე გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნულ შემთხვევაში ბანკებისათვის სადაზღვევო შენატანი არ წარმოადგენს დიდ ტვირთს, ვიდრე ეს უფრო მაღალი ზღვრის დაწესების შემთხვევაში შეიძლება ყოფილიყო.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც დეპოზიტის ზღვრის დადგენისას ჩნდება, ეხება მისი ცვლილების ან ინდექსაციის შესაძლებლობას, რის საჭიროება შეიძლება გაჩნდეს ეკონომიკური განვითარების და მაკროეკონომიკური ინდიკატორების ცვლილების პარალელურად. მაგალითისათვის, არსებობს მოსაზრება, რომ უნდა მოხდეს ზღვარის ინდექსაცია ინფლაციის ან ეკონომიკური აქტივობის მიხედვით. იმისათვის, რომ სისტემა მეტნაკლებად მარტივი და სტაბილური იყოს ასევე შესაძლებელია დაწესდეს გარკვეული ეტაპები რომლის გადაჭარბების შემთხვევაშიც ინდექსაციის მიხედვით ზღვარი შესაძლოა შეიცვალოს. ინდექსაციის მთავარი უპირატესობად მიიჩნევა ის, რომ ფიქსირებული ზღვარი შესაძლოა ნაკლებეფექტიანი იყოს მაღალი ეკონომიკური განვითარების პირობებში, როდესაც შემოსავლები არსებითად იზრდება. ამასთან, მაგ. ინფლაციის მიხედვით ინდექსაცია უზრუნველყოფს დაფარვის პარალელურ ზრდას და შესაძლოა ჰქონდეს ანტიციკლური ხასიათი.

- **რა სიდიდის უნდა იყოს ფონდი? - ფონდის დაფინანსების საკითხები**

როგორც უკვე აღინიშნა, კანონის პროექტის მიხედვით, „ფონდში აკუმულირებულმა თანხებმა უნდა მიაღწიონ ფონდის მიზნობრივ ოდენობას, რომელიც შეადგენს დაზღვეული დეპოზიტების მთლიანი მოცულობის 6%-ს“.

საერთაშორისო პრაქტიკით, ფონდის ზომა, ისევე როგორც სისტემის სხვა მახასიათებლები, განისაზღვრება საბანკო სისტემის სპეციფიკით, თუმცა განსხვავებული სისტემებისათვის ეს ნიშნული მერყეობს ჯამური დაზღვეული დეპოზიტების თანხობრივი ოდენობის 0.8% - 1.5%-ის ფარგლებში. მაგალითისათვის, EU დირექტივა 2014/49/EU *დეპოზიტების დაზღვევის სქემის* შესახებ 2024 წლისათვის მიზნობრივ ნიშნულად განსაზღვრავს 0.8%-ს⁶.

არსებულ მონაცემებსა და წარმოდგენილი კანონპროექტის ძირითად მიმართულებებზე დაყრდნობით შეგვიძლია შევაფასოთ ფონდში აკუმულირებული თანხის მოსალოდნელი დინამიკა რამდენიმე განსხვავებული სცენარისათვის და აღნიშნული თანხის შესაბამისობა ფონდის მიზნობრივ მოცულობასთან(6%).


საბაზისო სცენარისათვის გამოყენებულია შემდეგი დაშვებები:

- ✓ **დასაზღვევი დეპოზიტების მოცულობის მოსალოდნელი ზრდის ტემპი** - გასული წლების მონაცემებზე დაყრდნობით საბიუჯეტო ოფისის მიერ გაკეთებული შეფასებით, რომ 2018-2030 წლების განმავლობაში დეპოზიტების მოსალოდნელი ზრდის ტემპი 11%-17%-ის ფარგლებშია, ხოლო საშუალო ზრდის ტემპი 13-14%-ს უტოლდება.

⁶ Directive of the European Parliament and of the Council 2014/49/EU on Deposit Guarantee Schemes. Article 10. “Member States shall ensure that, by 3 July 2024, the available financial means of a DGS shall at least reach a target level of 0,8 % of the amount of the covered deposits of its members. Where the financing capacity falls short of the target level, the payment of contributions shall resume at least until the target level is reached again”.

- ✓ ყოველთვიური შენატანი, როგორც დაზღვეული დეპოზიტების %-ული წილი - დეპოზიტების დოლარიზაციის სტრუქტურისა და კანონით განსაზღვრული შენატანების გათვალისწინებით, ბანკების მიერ წლიური შენატანი საშუალოდ დასაზღვევი დეპოზიტების მოცულობის 1%-ს შეადგენს.
- ✓ ფონდში აკუმულირებულ თანხაზე სარგებელი - ქართული ფასიანი ქაღალდების სარგებლის მაჩვენებლის გათვალისწინებით, შეგვიძლია დავუშვათ, რომ ფონდის აქტივებს შესაძლებელია საშუალოდ 6%-იანი სარგებელი⁷ დაერიცხოს.

კანონპროექტის გარდამავალ დებულებებში მითითებულია, რომ „2022 წლამდე ფონდში აკუმულირებული თანხები შეიძლება იყოს მიზნობრივ ოდენობაზე ნაკლები“. შესაბამისად, გონივრულად მოსალოდნელია, რომ კანონპროექტის საფუძვლად გამოყენებული პროგნოზები ითვალისწინებს მიზნობრივი ნიშნულის მიღწევას 2022 წლისათვის. თუმცა, აღნიშნული დაშვებების გათვალისწინებით, საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, სხვა თანაბარ პირობებში, ფონდის მოცულობა 6%-იან ნიშნულს მიაღწევს 2025 წლისათვის.



დიაგრამა 1.


ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ჩნდება კითხვა: რამდენი უნდა იყოს რეგულარული(ყოველთვიური) სადაზღვევო შენატანები (ნაცვლად 0.067%-ის და 0.1%-ის), რომ საბაზისო სცენარის მიხედვით არსებული დეპოზიტების ზრდის ფონზე 2022 წლისათვის მიღწეულ იქნას 6%-იანი ნიშნული? საბიუჯეტო ოფისის გათვლებით, ამავე საბაზისო დაშვებებზე დაყრდნობით, 2022 წლისათვის ფონდის მიზნობრივი 6%-იანი ნიშნულის მისაღწევად საჭირო შენატანები ლარში არსებული დეპოზიტებისათვის - 0.097%-ს, ხოლო დოლარში არსებული დეპოზიტებისათვის - 0.144%-ს უტოლდება.

გასათვალისწინებელია, რომ კანონპროექტის მიხედვით, „სააგენტო ყოველწლიურად არაუგვიანეს 30 სექტემბრისა კომერციული ბანკების რისკების ანალიზის საფუძველზე ამტკიცებს თითოეული კომერციული ბანკისთვის რეგულარული სადაზღვევო შენატანის ინდივიდუალურ ოდენობას შემდგომი წლისთვის,“ მაგრამ არაუმეტეს კანონით განსაზღვრული ლიმიტებისა. საყურადღებოა, რომ ზემოაღნიშნული ევროდირექტივა ასევე მიუთითებს რეგულარული შენატანების განსაზღვრისას ეკონომიკური ციკლის ფაზის და


⁷იმის გათვალისწინებით, რომ მიმდინარე საპროცენტო განაკვეთები შესაძლებელია შემცირდეს ეკონომიკური ზრდის და ფინანსური სტაბილურობის გაუმჯობესების პარალელურად, კონსერვატიული მიდგომით გამოყენებულია 6%-ის სარგებლის დაშვება.

პროციკლური შენატანების ბანკების ბალანსზე გათვალისწინების აუცილებლობაზე⁸. აქვე გასათვალისწინებელია, რომ: 1. სადაზღვევო შენატანის შემოღებამ შესაძლოა ბანკებს უზიძვოს გაზარდონ ე.წ. საპროცენტო სპრედი: შეამცირონ დეპოზიტზე არსებული სარგებელი ან გაზარდონ სესხზე საპროცენტო განაკვეთი. 2. სისტემის ეფექტიანობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საბანკო რისკების სწორ შეფასებაზე.

ზოგადად, დეპოზიტების დაზღვევის სისტემის დანერგვამ შესაძლოა დადებითად უნდა იმოქმედოს დეპოზიტების მოცულობის ზრდაზე დეპოზიტართა ნდობის ზრდის გავლენით. სხვა თანაბარ პირობებში, ფონდის მოცულობის დინამიკა და შესაბამისობა მიზნობრივ 6%-იან ნიშნულთან დასაზღვევი დეპოზიტების ზრდის განსხვავებული ტემპისათვის წარმოდგენილია დიაგრამებზე N2-N4.




დიაგრამა 2.



დიაგრამა 3.

⁸ Directive of the European Parliament and of the Council 2014/49/EU on Deposit Guarantee Schemes. Article 10. "The regular contribution shall take due account of the phase of the business cycle, and the impact procyclical contributions may have when setting annual contributions in the context of this Article."



დიაგრამა 4.

საერთაშორისო პრაქტიკით მიიჩნევა, რომ დეპოზიტების დაზღვევის სისტემის დანერგვა დადებითად იმოქმედებს საფინანსო სექტორისადმი ნდობის ხარისხზე, შესაბამისად, როგორც უკვე აღინიშნა, ხელს შეუწყობს დეპოზიტების მოცულობის ზრდას და ფინანსურ სტაბილურობას, თუმცა სისტემის ეფექტიანობისათვის მნიშვნელოვანია ზემოაღნიშნული ძირითადი ასპექტების გათვალისწინება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. “Core Principles for Effective Deposit Insurance Systems”. June 2009. Basel Committee on Banking Supervision. International Association of Deposit Insurers.
2. “Deposit Insurance”. Technical note. March 2013, International Monetary Fund.
3. Directive 2014/49/EU of the European Parliament and of the Council. 16 April 2014 on Deposit Guarantee Schemes
4. “Reform of Deposit Insurance”. March 2001. FDIC.
5. Review of Directive 94/19/EC on Deposit Guarantee Schemes. 2010. Impact Assessment. European Commission staff working document.